



მის: თბილისი, ქობულეთის ქ. # 34/36
სადარბაზო 1, ბინა 5
ტელ: 790/ 99 66 07
www.mdfgeorgia.ge
e-mail: mdfgeo@gmail.com

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს
ბ-ნ გიორგი ბარათაშვილს

ბატონო გიორგი,

პირველ რიგში, მივესალმებით საზოგადოებრივი მაუწყებლის დაინტერესებას მედიის განვითარების ფონდის მიერ მომზადებული კვლევით, რომლის მიზანი მედია გარემოს, საბიუჯეტო რესურსების მედიაში გადანაწილების, ასევე მაუწყებელთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვის პრაქტიკის შესწავლა იყო.

ამასთანავე, ვთვლით, რომ 2016 წლის 28 ივნისით დათარიღებულ თქვენს წერილში მოყვანილი შეფასებები, თითქოს ანგარიში შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს, უსაფუძვლოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

- პირველი შენიშვნა შეეხება კვლევაში მოყვანილ მონაცემებს 2015 წელს სატელევიზიო მედიაში საბიუჯეტო რესურსების გადანაწილების თაობაზე, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გასწვრივ მითითებულია გადაცემა “ეტალონი” და მასზე გათვალისწინებული 56 368 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მართალია, თქვენ მიერ მითითებულ ხელშეკრულებაში (#153-3) გათვალისწინებულია 150 000 ლარის ბარტერული მომსახურების შესყიდვა “ეტალონი მედიისგან”, რაც ეთერში გადაცემების გასვლის ნაცვლად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ამავე ღირებულების სასპონსორო მომსახურების გაწევას ითვალისწინებდა, მაგრამ ჩვენს კვლევაში ასახულია ის საბიუჯეტო თანხები, რომლებიც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა (შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიცია, შსს-ს აკადემია, სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, თბილისის სატრანსპორტო კომპანია) ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა “ეტალონის” მომზადებისა და ეთერში განთავსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყვეს. ამასთანავე გავითვალისწინეთ კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის ფაქტი და ანგარიშში მხოლოდ იმ გადაცემების ღირებულება ავსახეთ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა. ყველა ხელშეკრულება, რომელსაც მედიის განვითარების ფონდი დაეყრდნო, ხელმისაწვდომია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში და საჯაროა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ბარტერის ფორმით მიიღო საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შემოსავალი, თუ სხვა სახით, ჩვენი კვლევის

მიზნებისთვის არსებითი არ არის, ისევე როგორც იმის შესწავლა, როგორ მოახდინა გადაცემა “ეტალონის” მომზადების სანაცვლოდ ანგარიშსწორება მაუწყებელმა.

- რაც შეეხება თქვენს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეტალონი-მედიასთან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა, უსაფუძვლოა, რასაც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაც¹ (N: 162 / 18) ადასტურებს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, მარეგულირებელმა კოსიამ საზოგადოებრივ მაუწყებელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (გაფრთხილება) დააკისრა, მის ეთერში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასპონორებული გადაცემის (ეტალონი) განთავსების გამო. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი მაუწყებელს ავალდებულებს, უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასთან და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა. ამასთანავე კანონის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს წევრი ან საჯარო მოსამსახურე, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის ლიდერი ან თანამდებობის პირი, პოლიტიკურ პარტიათა კოალიცია ან ბლოკი და სხვა საარჩევნო სუბიექტი არ შეიძლება იყვნენ პროგრამის სპონსორები. სწორედ ამ სამართლებრივ საფუძველზე მიუთითა სრულიად მართებულად კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით საქმის განხილვისას თავის გადაწყვეტილებაში, რაც მედიის განვითარების ფონდის კვლევაშიც აისახა. ბუნებრივია, “ეტალონი-მედიას” მარეგულირებელი ვერ დააკისრებდა პასუხისმგებლობას მაუწყებლობის შესახებ კანონის 67-ე მუხლის დარღვევის გამო, რადგან იმავე კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა ეთერში გადაცემებული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე სწორედ საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკისრება. მედიის განვითარების ფონდის კვლევაში მითითებულ კანონდარღვევაზე ყურადღება გაამახვილა ასევე საკუთარ კვლევაში საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამაც². აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს მარეგულირებელი კომისიის ეს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

თქვენს მიერ არაიდენტიფიცირებულ კონტრაქტევად მოხსენიებული ხელშეკრულებები შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, შემდეგ მისამართზე: <https://tenders.procurement.gov.ge/login.php> აღნიშნული ხელშეკრულებების დებულებები, ჩვენი ღრმა რწმენით, წარმოადგენს სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას, რასაც ანგარიშში მოყვანილი შემდეგი ამონარიდიც ცხადყოფს: "დამკვეთის მონაწილეობით გადაცემისთვის კითხვების მომზადება, გადაცემის ჩაწერა, მისი მონტაჟი და ეთერში განთავსებასა და დამკვეთის მიერ შერჩეული მოსწავლეების წარმოჩენას გადაცემის ფორმატის შესაბამისად".³ მსგავსი ტიპის პირობები ჩადებულია შსს-ს აკადემიისა და შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. აღნიშნული მომსახურება მაუწყებლობის კანონის 66¹ მუხლისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 29.2 მუხლის) დარღვევას წარმოადგენს.

¹ <http://gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2015-162-181.page>

² <http://qartia.org.ge/gpb/>

³ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

- მესამე შენიშვნა შეეხებოდა ანგარიშის ბეგრანდში მოყვანილ ინფორმაციას, კერძოდ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკას 3 საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის, დახურვის გამო, რაც ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება. კერძოდ: განცხადება პოლიტიკოსზე დაქორწინების გამო ეკა მიშველადის ინტერესთა კონფლიქტზე საჯარო შეხვედრაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველმა ბასა ჯანიკაშვილმა 4 სექტემბერს გააკეთა⁴, რასაც საეთერო ბადიდან გადაცემა “პირველი სტუდიის” მოხსნა, მოგვიანებით კი ეკა მიშველადის კონტრაქტის შეწყვეტა მოჰყვა. არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და სხვათა მიერ ქართულ მედია სივრცეში 3 პოლიტიკური თოქ-შოუს დახურვასთან დაკავშირებული კრიტიკული შეფასებები ასევე აისახა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ანგარიშში⁵. სწორედ ამ კონტექსტის ჩვენებას ისახავდა მიზნად ანგარიშის ის პასაჟი, რომელსაც თქვენ არ იზიარებთ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებთ თქვენს მომართვას ანგარიშის კორექტირების აუცილებლობის შესახებ. ამასთანავე ვადასტურებთ ჩვენს მზაობას სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

პატივისცემით,

თამარ კინწურაშვილი
მედიის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე



5.07.2016

⁴ <https://www.youtube.com/watch?v=GliQd2wWBY4>

⁵ <http://www.state.gov/documents/organization/253061.pdf>